



მიმღინარე ეკონომიკური ტანდენდციები

ოქტომბერი, 2019

მოკლე შეჩამება

- საქსტატი გადავიდა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი სტანდარტზე (SNA 2008)
- რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ ოქტომბერში შეადგინა 5.7 %
- წლიურმა ინფლაციამ ოქტომბერში შეადგინა 6.9 %, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 4.7 %
- ოქტომბერში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 4.4 %-ით
- ოქტომბერში იმპორტი შემცირება წლიურად 1.5 %-ით
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი წლიურად გაიზარდა 5.2 %-ით
- მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გაიზარდა 1 პროცენტული პუნქტით და გაუტოლდა 8.5 %-ს
- სარეიტინგო კომპანია S&P-მ საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი გააუმჯობესა ერთი საფეხურით, BB- დან BB-მდე
- ბიზნესის კეთების რეიტინგში, საქართველო მსოფლიოში მე-7 ადგილზეა

სარჩევი

რეალური სექტორი.....	4
მთლიანი შიდა პროდუქტი	4
ეას-ის ახალი სტანდარტის დანერგვა	4
ეკონომიკური ზრდა	7
ფასების დონე.....	9
ბიზნეს სექტორი	10
უმუშევრობის დონე.....	10
საგარეო სექტორი.....	11
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი.....	11
საგარეო ვალი.....	12
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	12
საგარეო ვაჭრობა.....	13
ტურიზმი	15
ფულადი გზავნილები.....	15
სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება	17
გაცვლითი კურსი	17
ფისკალური სექტორი.....	18
2020 წლის ბიუჯეტის აღწერა.....	18
ნაერთი ბიუჯეტის შესრულება.....	18
სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი	19
მონეტარული სექტორი.....	22
კერძო სექტორის დოლარიზაცია	22
სესხების მიმოხილვა.....	23
დეპოზიტების მიმოხილვა.....	23
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	24
საპროცენტო განაკვეთები	25
სუვერენული რეიტინგები.....	26



რეალური სექტორი

მთლიანი შიდა პროდუქტი


ეას-ის ახალი სტანდარტის დანერგვა

2019 წლის ნოემბერს, საქართველოს სტატისტიკის სასმახურმა მიიღო ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი სტანდარტი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) ახალ სტანდარტებზე (SNA 2008) გადასვლა გულისხმობს მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და მთელი რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას, ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად. ეას-ის ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლა ეკონომიკურის ქვეყნებმა 2014 წლიდან დაიწყეს. მათ რიგებს 2015 წლიდან შეუერთდა სომხეთი, თურქეთი, უკრაინა და ბელორუსი. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული სისტემა (SNA 2008) მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაშია დანერგილი. მოხდა საბაზისო პერიოდის ცვლილება 2010 წლის ნაცვლად 2015 და ისტორიული მონაცემების გადაანგარიშება 2010 წლიდან. ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია მშპ-ს წლიური მონაცემები სექტორულ და დანახარჯების ჭრილში. ახალი მეთოდოლოგიით გაანგრიშებული მშპ-ს კვარტალური მონაცემების ხელმისაწვდომი იქნება 2019 წლის ბოლოს.

ეროვნულ ანგარიშებში არსებული განსხვავებები ძირითადად დაკავშირებულია ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლით და მონაცემთა წყაროს გაუმჯობესების სამუშაოებით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სექტორში დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების შეფასებას და მაჩვენებელთა ხარისხის გაუმჯობესებას. ძველ მეთოდოლოგიასა (SNA 1993) და ახალს SNA (2008) შორის ძირითად სხვაობას წარმოადგენს კვლევებსა და დამუშავებასთან (R&D) დაკავშირებული ხარჯების კაპიტალზაფია, ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების (FISIM) ცვლილება და საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტის გაანგარიშების გაუმჯობესება.


მშპ-ს გადაანგარიშებას ასევე გააჩნია დადებითი შედეგები. ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლა საშუალებას იძლევა უფრო ეფექტუანად მოხდეს სხვადასხვა ქვეყნის მშპ-ს და მშპ-ზე დაყრდნობილი იდნიკატორების შედარება. გარდა ამისა, ნომინალური მშპ-ს ზრდამ გამოიწვია საქართველოს ვალის, ბიუჯეტის დეფიციტის, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის და სხვა ცვლადების მშპ-თან შეფარდების შემცირება.

დაგრამა 1: ნომინალური მშპ




წყარო: საქსტატი

დაგრამა 2: მშპ ერთ სულზე



წყარო: საქსტატი

დაგრამა 3: რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი




წყარო: საქსტატი




დიაგრამა 4: მშპ-ს განაწილება სექტორების მიხედვით

გადაანგარიშებამდე, SNA 1993




გადაანგარიშებული, SNA 2008



წყარო: საქართველო

დიაგრამა 5: დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი დამატებულ ღირებულებაში



წყარო: საქართველო

ეს-ის ახალ სტანდარტზე გადასვლამ გამოიწვია ეკონომიკის ზომის გაფართოება. ახალი სტანდარტით გაანგარიშებული მშპ-ს ნომინალური მაჩვენებები საშუალოდ გასწვავდება 6,2%-ით 2010-2018 წლებში. 2018 წლის ნომინალური მშპ-ს წლიური ზრდა გაუტოლდა 9,4%-ს, რაც აღემატება შესაბამის მაჩვენებელს ძველი სტანდარტის პირობებში, 8,5%. 2018 წლის მდგომარეობით, ასევე გაიზარდა მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, 4,346 აშშ დოლარიდან 4,722 აშშ დოლარამდე. საქსტატის თანახმად, 2018 წლის ნომინალურ მშპ-ში არსებული 8,6%-იანი სხვაობიდან 3 პ.პ. განპირობებულია მეთოდოლოგიური ცვლილებით, ხოლო დარჩენილი 5,6 პ.პ. გამოწვეულია მონაცემთა წყაროების გაუმჯობესებით.

სტანდარტის ცვლილებამ და მონაცემთა წყაროების გაუმჯობესებამ ასევე გავლენა იქონია მშპ-ს სექტორულ ჩაშლაზე. ახალ მონაცემებში, 2018 წლის მდგომარეობით, მოსმახურების სექტორების წილმა შეადგინა 77,6%, რაც აღემატება ძველი მონაცემების მაჩვენებელს, 75,3%. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია უძრავი ქონებისა და ფინანსური სექტორების ტრანზაქციების ზრდით და ასევე კერძო განათლების, ტურიზმის, და სხვა დაუკვირვებადი ეკონომიკის მონაცემებთა



წყაროების დაფარვის გაუმჯობესებით. ახალი მონაცემების მიხედვით, დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი დამატებულ ლირებულებაში 2018 წელს შეადგენს 13%-ს (ძველი წყაროს მიხედვით, შესაბამისი ინდიკატორი უდრიდა 8,3%-ს).

ნომინალური მშპ-ს ზრდამ გამოიწვია სხვადასხვა ინდიკატორების ცვლილება: 2018 წელს შემცირდა მთავრობის ვალის შეფარდება მშპ-თან 42,2%-დან 38,9%-მდე. იმის მიუხედავად, რომ ასევე შემცირდა საგადასახადო შემოსავლების შეფარდება შპს-თან, ის მაინც რჩება მაღალ დონეზე, 23,6%. ასევე 2018 წლის დმგომარეობით, ასევე შემცირდა ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 2,5%-დან 2,3%-მდე. მოხდა შემცირდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 7,3%-დან 6,8%-მდე. გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური ინდიკატორები ხელს შეუწყობს ქვეყნის საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესებას.

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მთლიანი შიდა პროდუქტი									
ნომინალური მშპ, მლრდ ლარი (ახალი)	21.8	25.5	27.2	28.6	31.1	33.9	35.8	40.8	44.6
ნომინალური მშპ, მლრდ ლარი (ძველი)	20.7	24.3	26.2	26.8	29.2	31.8	34.0	37.8	41.1
ნომინალური მშპ, მლრდ აშშ დოლარი (ახალი)	12.2	15.1	16.5	17.2	17.6	14.9	15.1	16.2	17.6
ნომინალური მშპ, მლრდ აშშ დოლარი (ძველი)	11.6	14.4	15.8	16.1	16.5	14.0	14.4	15.1	16.2
ნომინალური მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი (ახალი)	3,233	4,023	4,422	4,624	4,739	4,013	4,062	4,359	4,722
ნომინალური მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი (ძველი)	3,073	3,844	4,250	4,341	4,438	3,755	3,857	4,047	4,346
რეალური ზრდა, % (ახალი)		7.4%	6.4%	3.6%	4.4%	3.0%	2.9%	4.8%	4.8%
რეალური ზრდა, % (ძველი)		7.2%	6.4%	3.4%	4.6%	2.9%	2.8%	4.8%	4.7%

საგარეო ინდიკატორები									
მიმდინარე ანგარიში, %-ად მშპ-თან (ახალი)	-9.8%	-12.2%	-11.4%	-5.6%	-10.1%	-11.8%	-12.5%	-8.0%	-6.8%
მიმდინარე ანგარიში, %-ად მშპ-თან (ძველი)	-10.3%	-12.8%	-11.9%	-5.9%	-10.8%	-12.6%	-13.1%	-8.7%	-7.4%
ექსპორტი, %-ად მშპ-თან (ახალი)	13.7%	14.5%	14.4%	16.9%	16.2%	14.7%	14.0%	16.8%	19.1%
ექსპორტი, %-ად მშპ-თან (ძველი)	14.4%	15.1%	15.0%	18.0%	17.3%	15.8%	14.7%	18.1%	20.7%
იმპორტი, %-ად მშპ-თან (ახალი)	42.8%	46.8%	48.9%	46.7%	48.8%	48.8%	48.2%	48.9%	51.9%
იმპორტი, %-ად მშპ-თან (ძველი)	45.0%	49.0%	50.8%	49.7%	52.1%	52.2%	50.7%	52.7%	56.4%
წმინდა FDI, %-ად მშპ-თან (ახალი)	6.0%	6.5%	4.6%	5.3%	8.1%	9.5%	8.2%	10.4%	5.3%
წმინდა FDI, %-ად მშპ-თან (ძველი)	6.3%	6.8%	4.7%	5.7%	8.7%	10.1%	8.6%	11.2%	5.7%
შემოსავალი ტურიზმიდან, %-ად მშპ-თან (ახალი)	5.4%	6.3%	8.6%	10.0%	10.1%	12.5%	13.9%	16.6%	18.3%
შემოსავალი ტურიზმიდან, %-ად მშპ-თან (ძველი)	5.7%	6.6%	8.9%	10.7%	10.8%	13.4%	14.7%	17.9%	19.9%

ფისკალური ინდიკატორები									
საგადასახადო შემოსავალი, %-ად მშპ-თან (ახალი)	26.9%	27.0%	27.8%	26.0%	26.1%	26.4%	27.0%	26.8%	26.5%
საგადასახადო შემოსავალი, %-ად მშპ-თან (ძველი)	28.3%	28.2%	28.9%	27.7%	27.9%	28.2%	28.4%	28.9%	28.8%
მიმდინარე დანახარჯი, %-ად მშპ-თან (ახალი)	25.2%	22.0%	22.4%	22.7%	23.8%	23.3%	24.6%	22.6%	21.3%
მიმდინარე დანახარჯი, %-ად მშპ-თან (ძველი)	26.6%	23.1%	23.3%	24.2%	25.4%	24.9%	25.9%	24.3%	23.1%
ბიუჯეტის დეფიციტი, %-ად მშპ-თან (ახალი)	-5.3%	-2.0%	-1.7%	-1.9%	-2.6%	-2.4%	-2.9%	-2.7%	-2.3%
ბიუჯეტის დეფიციტი, %-ად მშპ-თან (ძველი)	-5.6%	-2.1%	-1.7%	-2.1%	-2.8%	-2.6%	-3.0%	-2.9%	-2.5%
მთავრობის სამინაო ვალი, %-ად მშპ-თან (ახალი)	5.2%	4.7%	4.5%	4.7%	6.1%	6.4%	7.0%	7.0%	7.3%
მთავრობის სამინაო ვალი, %-ად მშპ-თან (ძველი)	5.5%	4.9%	4.7%	5.0%	6.5%	6.8%	7.3%	7.6%	7.9%
მთავრობის საგარეო ვალი, %-ად მშპ-თან (ახალი)	26.8%	23.9%	24.2%	23.8%	23.6%	28.7%	29.8%	31.3%	29.9%
მთავრობის საგარეო ვალი, %-ად მშპ-თან (ძველი)	28.2%	25.0%	25.2%	25.3%	25.2%	30.7%	31.4%	33.8%	32.5%

წყარო: საქსტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



ეკონომიკური ზრდა

2019 წლის წინასწარი შეფასებით, ოქტომბრის რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 5.7 პროცენტი. 2019 წლის ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდა შეინიშნებოდა მშენებლობის, სასტუმროებისა და რესტორნების, დამატუშვებელი მრეწველობის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორებში. ხოლო კლება დაფიქსირდა ხელოვნების, სამთომოპოვებითი მრეწველობის, გართობისა და დასვენების სექტორებში. 2019 წლის 10 თვის საშუალომ შეადგინა 5.1 პროცენტი.


2019 წლის პირველ კვარტალში ზრდა დაფიქსირდა განათლების, სასტუმროები და რესტორნების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორებში. ხოლო 2019 წლის მეორე კვარტალში მაღალი ზრდა დაფიქსირდა უძრავი ქონებით ოპერაციების, ტრანსპორტის, სასტუმროები და რესტორნების, კავშირგაბმულობისა და მომხმარებლისათვის სხვა მომსახურების გაწევის დარგში.

2019 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წმინდა ექსპორტმა, რაც გამოწვეულია ექსპორტის გაუმჯობესებით. ამასთან, 2018 წლისგან განსხვავებით, ინვესტიციების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში უარყოფითი იყო. საშუალოვანი პერიოდში მოსალოდნელია, რომ კვლავ წმინდა ექსპორტი იქნება ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი. ასევე, მოსალოდნელია, რომ მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღება ვაჭრობით იყო გამოწვეული. ზრდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ინვესტიციები. ამასთან, განხორციელებული რეფორმები ორიენტირებულია ქვეყანაში დანაზოგებისა და ინვესტიციების ზრდაზე.

მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ხასიათდება მზარდი ტრენდით. 2018 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 11485 ლარს (4722 აშშ დოლარი) შეადგენს. ამავე დროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის (PPP) მიხედვით მშპ ერთ სულ მოსახლეზე 11485 აშშ დოლარს შეადგენს.


ბოლო წლებში, მიუხედავად ეკონომიკური აქტივობის შენელებისა, საქართველოს

დაგრამა 6: ეკონომიკური ზრდა




წყარო: საქსტატი

დაგრამა 7: სექტორების ზრდა, 2019 კვ II



წყარო: საქსტატი


დაგრამა 7: ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი



დიაგრამა 8: მშპ ერთ სულზე



დიაგრამა 9: ეკონომიკური ზრდა რეგიონში



ეკონომიკური ზრდა პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით უფრო მაღალი იყო. საქართველომ აჩვენა მნიშვნელოვანი მდგრადობა 2014-2016 წლებში რეგიონში არსებული ზრდის შენელების ფონზე. აღნიშნულ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 3.4 პროცენტით, მაშინ, როცა მეზობელ ქვეყნებში უარყოფითი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. 2017 და 2018 წლებში დაფიქსირდა მაჩვენებლის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობა განისაზღვრა 4.8 პროცენტით ორივე წელს. საგარეო შოკების მიმართ მაკროეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრულმა რეაქციამ საქართველოს ეკონომიკა რეგიონში ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად აქცია.


საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველო კვლავ შეინარჩუნებს მოწინავე პოზიციას რეგიონში საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის კუთხით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდის საშუალოვადიანი პროგნოზი 2019-2024 წლებში 5 პროცენტს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება რეგიონში ქვეყნების ზრდას.

ფასების დონე

2018 წლისთვის, აქციზის გადასახადის ეფექტის ამოწურვის შემდეგ ინფლაციის დონემ დასტაბილურება დაიწყო და მიზნობრივი 3 პროცენტის გარშემო მერყეობდა. თუმცა 2019 წლის მეორე ნახევარში შეიმჩნევა ინფლაციური წნები, რომელიც ზრდის წლიურ ინფლაციას. აღნიშნული წნები გამოწვეულია არამხოლოდ ფასების პირდაპირი მომატებით როგორც ადგილობრივ, ასევე იმპორტირებულ საქონელზე, რომელიც გამოწვეულია გაუფასურებული ადგილობრივი ვალუტით, არამედ ასევე ინფლაციური მოლოდინის ჩამოყალიბებით. 2019 წლის ოქტომბრის მონაცემებით, ინფლაციის დონემ 6.9 პროცენტი შეადგინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაც მიზნობრივ ინფლაციაზე მაღალია. საბაზო ინფლაცია კი შესაბამის პერიოდში 4.7 პროცენტზე დაფიქსირდა. აქციზის განაკვეთის ცვლილების ეფექტი ასევე ასახული იქნება 2019 წლის ინფლაციაზე. თამბაქოს ფასის ცვლილების ეფექტი 2019 წლის ოქტომბრის ინფლაციაში 0.8 პუნქტს შეადგენს.


წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათზე, უაღვოპოლო და აღვოპოლურ სასმელებზე და განსაკუთრებით თამბაქოზე.

დიაგრამა 10: წლიური ინფლაცია




წერალი: საქართველო

დიაგრამა 11: ინფლაციის დეკომპოზიცია, 2019 უკანომბერი




ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

დიაგრამა 12: ონფლაციის დეკომპოზიცია, 2019 იქნომბერი




წერტილი: საქართველო

გავლენა წლიურ ინფლაციაზე, პ.პ.




ბიზნეს სექტორი


დაგრამა 13: ბიზნეს სექტორი



დაგრამა 14: ბიზნეს სექტორი ზომის მიხედვით, 2019 III კვ



დაგრამა 15: უმუშევრობის დონე



2019 წლის III კვარტალში, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 33.0 პროცენტით გაიზარდა და 29.0 მილიარდი ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2019 წლის III კვარტალში მისი მოცულობა 12.8 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 19.8 პროცენტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

2019 წლის III კვარტალში მთლიანი ბრუნვის 51.9 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 19.9 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 28.2 პროცენტი - მცირე ბიზნესზე. პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 38.2 პროცენტი, საშუალოზე - 23.7 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 38.1 პროცენტი.

2019 წლის III კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 696.0 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 4.6 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 40.9 პროცენტი ქალია, ხოლო 59.1 პროცენტი - კაცი. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36.3 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22.2 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 41.5 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

უმუშევრობის დონე

2018 წლისთვის უმუშევრობის დონემ 12.7 პროცენტი შეადგინა, რაც ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს წარმოადგენს. 2019 წლის მესამე კვარტალში უმუშევრობის მაჩვენებელმა შეადგინა 11.1 პროცენტი. 2018 წლის მდგომარეობით, უმუშევრობის დონე 12.7 პროცენტს შეადგენდა. მათ შორის, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 19.3 პროცენტს, ხოლო სოფლად - 5.8 პროცენტს. 2019 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 16.6 პროცენტს, ხოლო სოფლად - 5.5 პროცენტს. უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით 15-24 და 25-34 ასაკობრივი ჯგუფები გამოირჩევა.

საგარეო სექტორი


მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2019 წლის მეორე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი -2.9 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვან გაუმჯობესებას წარმოადგენს. დეფიციტის შემცირება ძირითადად გამოწვეულია საქონლის ბალანსის უარყოფითი სალდოს შემცირებით, რაც ექსპორტის გაუმჯობესებამ გამოიწვია.


მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლებში დეფიციტის გაუმჯობესება გამოწვეულია დანაზოგების ზრდით, რასაც ხელი შეუწყო 2017 წლიდან ამოქმედებულმა მოგების გადასახადის რეფორმამ. რეფორმის ფარგლებში, რეინვესტირებული მოგება გათავისუფლდა მოგების გადასახადით დაბეგვრისგან. 2019 წლის მეორე კვარტალში შედარებით შემცირებულია ვალის წილი ინვესტიციების დაფინანსებაში, ხოლო მნიშვნელოვნად გაზრდილია დანაზოგები.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. დეფიციტის ვალით დაფინანსება გულისხმობს ახალი ვალის აღებას და შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯის გაწევას ვალის მომსახურებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე განხორციელდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში გაუმჯობესებულია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურა და 2017 წელს დეფიციტი მთლიანად იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული. 2019 წლის მეორე კვარტალში, ადგილი ჰქონდა მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვან შემცირებას 2.9 პროცენტამდე, ხოლო დეფიციტის დაფინანსების კუთხით პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 3.2 პროცენტიანი წვლილი შეიტანა, ხოლო ვალის დაფინანსების საჭიროების არ არსებობის გამო ვალის წილმა დაფინანსებაში 0 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა ბოლო წლების მანძილზე. რაც შეეხება 2018 წლის მთლიან მაჩვენებელს, დეფიციტი დაფინანსებულია როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, ასევე - ვალით.

დაგრამა 16: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი



დაგრამა 17: ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება




დაგრამა 17: ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება




საგარეო ვალი

დიაგრამა 18: საგარეო ვალი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 19: ვალის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 20: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის დამატებით სისუსტედ საგარეო ვალი მიიჩნევა, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ. საგარეო ვალი შედგება როგორც სამთავრობო სექტორის ვალისგან, ასევე - კომერციული და ეროვნული ბანკის საგარეო ვალისგან და კომპანიათაშორისი სესხებისგან.

2018 წელს მთლიანი საგარეო ვალი შემცირდა წინა წელთან შედარებით და მთლიანი შიდა პროდუქტის 110 პროცენტი შეადგინა. შემცირება ძირითადად გამოწვეულია სამთავრობო სექტორის ვალის შემცირებითა და კომპანიათაშორისი სესხების კლებით. 2019 წლის პირველ ნახევარში საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 113 პროცენტზე შენარჩუნდა.

საგარეო ვალის ცვლილების დეკომპოზიცია წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ანუ ვალის აღებით, ასევე - საფასო ეფექტით, გაცვლითი კურსის ცვლილებითა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში საგარეო ვალის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი გაცვლითი კურსის გაუფასურებამ შეიტანა, ხოლო მშპ ძირითადად ხელს უწყობდა საგარეო ვალის შემცირებას. 2018 წელს საგარეო ვალის ზრდის განმაპირობებელი იყო საოპერაციო და გაცვლითი კურსის ეფექტები, თუმცა ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ და საფასო ეფექტებმა გადაწონა, რამაც ვალის შემცირება გამოიწვია. რაც შეეხება 2019 წლის მეორე კვარტალს, ვალი გაზრდილია 3.3 პროცენტით, ცვლილებაში კი მთავარი ფაქტორი იყო გაცვლითი კურსის ცვლილება, ვალის აღების შემცირებამ და ეკონომიკურმა ზრდამ კი საგარეო ვალის შემცირებაში შეიტანა წვლილი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2019 წლის მესამე კვარტალში საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 417.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 13.7 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. პირდაპირი უცხოური




ინვესტიციები 2019 წლის მესამე კვარტალში განხორციელდა ძირითადად გაერთიანებული სამეფოდან (18.8 პროცენტი), ნიდერლანდებიდან (16.4 პროცენტი), თურქეთიდან (10.3 პროცენტი), ჩინეთიდან (7.2 პროცენტი) და აშშ-დან (6.0 პროცენტი). რაც შეეხება სექტორებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 23 პროცენტი შეადგინა საფინანსო სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა, დამამუშავებელ მრეწველობაში 11.8 პროცენტი სასტუმროებსა და რესტორნებში განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 11 პროცენტი, მშენებლობის სექტორში - 10.4 პროცენტი და ენერგეტიკის სექტორში - 9.5 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის პირველ 9 თვეში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად 16.9%-ით შემცირდა. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში.

მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს რეინვესტირებაში დაფიქსირდა უმაღლესი მაჩვენებელი და შეადგინა FDI-ის 32 პროცენტი, ხოლო 2017 წელს 43.9%, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემო დადებითად აღიქმება ინვესტორების მიერ და მეტი ინვესტორი აგრძელებს ბიზნეს გეგმებს საქართველოში. მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმები რეინვესტირების მაღალი დონის შენარჩუნებისა და საშუალო და გრძელვადიანი პერიოდის ზრდის წინაპირობაა. რეინვესტირების მზარდი ტემპი მოგების გადასახადის რეფორმას, ე.წ. ესტონური მოდელის შემოღებას უკავშირდება, რომელიც გულისხმობს, რომ რეინვესტირებული მოგება არ იბეგრება.

საგარეო ვაჭრობა


2019 წლის ოქტომბერში ექსპორტის წლიურად გაიზარდა 4.4 პროცენტით და გაუტოლდა 316 მლნ აშშ დოლარის, ხოლო იმპორტი წლიურად შემცირდა 1.5 პროცენტით და გაუტოლდა 853 მლნ აშშ დოლარს, რამაც შეამცირა სავაჭრო დეფიციტი 4.7%-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან

დაგრამა 20: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




წყარო: საქართველო, საქართველოს ეროვნული ბანკი

დაგრამა 21: FDI-ის განაწილება, 2019 კვ3




წყარო: საქართველო

დაგრამა 21: საგარეო ვაჭრობა - იანვარი-ოქტომბერი, 2019




წყარო: საქართველო

დაგრამა 22: ექსპორტის წლიური ცვლილება




წყარო: საქსტატი

დაგრამა 23: იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დაგრამა 24: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი

შედარებით, ჯამურად, 2019 წლის იანვარ-ოქტომბერში, ექსპორტი გაიზარდა 10.4%-ით და გაუტოლდა 3 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი შემცირდა 3%-ით და გაუტოლდა 7.34 მლრდ აშშ დოლარს. შესაბამისად, სავაჭრო დეფიციტი შემცირდა 10.4%-ით.

ექსპორტისა და იმპორტის ცვლილებისას მნიშვნელოვანია რეალური ზრდისა და ფასისმიერი ეფექტის გამოყოფა, რათა ზუსტად გაანალიზდეს რეალური ცვლილება რამდენი იყო. 2018 წლის მეორე ნახევარში გაუმჯობესებულია ექსპორტის რეალური ზრდა, განსაკუთრებით კი ალსანიშნავია, რომ სექტემბრიდან ექსპორტის ცვლილების ფასისმიერი ეფექტი უარყოფითი იყო, რაც რეალური ექსპორტის ცვლილების ნომინალური ექსპორტის ცვლილებაზე უფრო მაღალ დონეს გულისხმობს. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2019 წელსაც. 2019 წლის ოქტომბერში ექსპორტის რეალურმა ზრდამ 6.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო ნომინალურმა ზრდამ მხოლოდ 4.4.

რაც შეეხება იმპორტს, 2018 წელს მის ნომინალურ ზრდაში მნიშვნელოვანი წილი ფასისმიერ ზრდას უკავია. 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში შემცირებულია რეალური იმპორტი, 2019 წლის იანვარ-თებერვალში კი რეალურმა ზრდამ გადააჭარბა იმპორტის ნომინალურ ცვლილებას. რაც შეეხება 2019 წლის ოქტომბერს, იმპორტის რეალურმა ზრდამ -0.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო ნომინალურ გამოსახულებაში იმპორტი 1.5 პროცენტით შემცირდა.

2019 წელს, იანვარ-ოქტომბერში საინვესტიციო საქონლის იმპორტი შემცირებულია 2.1 პროცენტით, სამომხმარებლო საქონლის იმპორტი - 1.6 პროცენტით, ხოლო შუალედური საქონლის იმპორტი 0.7 პროცენტით არის გაზრდილი.

2019 წლის იანვარ-ოქტომბერში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში ჰირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 528.5 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 17.4



პროცენტი), მეორე ადგილზე - მსუბუქი ავტომობილები 522.5 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 17.2 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე - ფეროშენადნობები 251.7 მლნ. აშშ დოლარით (8.3 პროცენტი). უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2019 წლის იანვარ-ოქტომბერში შეადგინა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ჯფუფმა, რომლის იმპორტმა 616.2 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 8.4 პროცენტი შეადგინა. ასევე მნშვნელოვან წილს იკავებდნენ მსუბუქი ავტომობილები 529.5 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.2 პროცენტი), და სპილენძის მადნები და კონცენტრანტები 497.5 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.8 პროცენტი).

ტურიზმი

2019 წლის ოქტომბერში ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 735 ათასი შეადგინა, რაც წინა წლის ოქტომბერთან შედარებით 11 პროცენტით მეტია. ეს ზრდა განპირობებულია როგორც ტურისტული ვიზიტების (ტურისტების რაოდენობა 7.8 პროცენტით არის გაზრდილი), ასევე ერთდღიანი ვიზიტორების რაოდენობის ზრდა 10.9 პროცენტით. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 5.2 პროცენტით გაიზარდა და 267 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2019 წლის პირველი 10 თვის მონაცემებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 0.9 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიდოთან შედარებით. აღნშნული შეფარდებით მცირე ზრდა გამოწვეულია ივლისში დაწესებული ფრენების აკრძალვით რუსეთიდან საქართველოს მიმართულებთ. თუმცა, ამავე დროს სხვა ქვეყნებიდან გაზრდილმა შემოსავალმა მოახერხა აღნიშნული უარყოფითი შოკის გავლენის შემსუბუქება. ამავე დროს, ვიზიტორთა რაოდენობა 2019 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემებით, წლიურად გაიზარდა 7.2 პროცენტით.

ფულადი გზავნილები


2019 წლის დასაწყისიდან საქართველოში შემოსული წმინდა ფულადი გზავნილები თვეში 100 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებს და აღმატება წინა წლის ანალოგიურ თვეებს. ოქტომბრის წმინდა ფულადმა გზავნილებმა 130.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 12.5 პროცენტიან წლიურ ზრდას გულისხმობს. ოქტომბერში გზავნილები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი

დაგრამა 25: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ დოლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დაგრამა 26: ტოპ ქვეყნები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დაგრამა 27: წმინდა ფულადი გზავნილები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 28: ფულად გზავნილებზე დამოკიდებულება
(%-ად CAB-ის შემოსავლებთან)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იტალიიდან (3.5 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში), ისრაელიდან (1.5 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში), უკრაინიდან (1.4 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში) და ყაზახეთიდან-დან (1.4 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში), შემცირებულია რუსეთიდან (-1.1 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში). წლიურად ფულადი გზავნილების შემცირება შეინიშნება შემდეგ ქვეყნებში: რუსეთი -2.6 პროცენტი (-0.7 პროცენტიანი წვლილი ზრდაში) და თუქურეთი -7.2 პროცენტი (-0.3 პროცენტიანი წვლილი ზრდაში).


საერთო ჯამში, 2018 წელს, უცხოური ვალუტის შემოდინება საქონლის ექსპორტის, ტურიზმისა და გზავნილების გზით გაზრდილია 1 321 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო იმპორტისთვის თანხების გადინება გაიზარდა 1 183 მილიონი აშშ დოლარით. შედეგად კი 2018 წელს მიმდინარე ანგარიშზე დადგებითი გავლენა შეინიშნა 137 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. 2019 წლის იანვარ-ოქტომბერში კი უცხოური ვალუტის შემოდინება საქონლის ექსპორტის, ტურიზმისა და გზავნილების გზით გაიზარდა 424 მილიონი აშშ დოლარით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (6.2 პროცენტით), ხოლო იმპორტისთვის თანხების გადინება 223 მილიონი აშშ დოლარითაა შემცირებული (-2.8 პროცენტი).

მიუხედავად იმისა, რომ საგარეო შოკების ამოწურვის შედეგად ბოლო წლებში ფულადი გზავნილები გაიზარდა, გრძელვადიან პერიოდში ფულად გზავნილებზე დამოკიდებულება წლიდან წლამდე მცირდება, რაც ექსპორტისა და ტურიზმის სწრაფი განვითარებით აიხსნება.

დიაგრამა 29: დამოკიდებულება სავაჭრო პარტნიორებზე



წყარო: საქტატი, საქართველოს ეროვნული ბანკი





სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება


საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების მიხედვით. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტში ექსპორტის, ტურიზმისა და ტრანსფერების წილების მიხედვით, საქართველოს მჭიდრო დამოკიდებულება აქვს რუსეთთან, თურქეთთან, უკრაინასა და ევროკავშირის ქვეყნებთან.

2019 წლის პირველ ნახევარში გაზრდილია უკრაინასა და ევროკავშირზე დამოკიდებულება. ხოლო 2018 წლის მონაცემების მიხედვით, რუსეთზე მთლიანი დამოკიდებულება უცვლელია, თუმცა წინა წლებთან შედარებით 2017-2018 წელს გაზრდილია, მცირედით შემცირებულია თურქეთზე დამოკიდებულება, ხოლო უკრაინასა და ევროკავშირთან შეიმჩნევა დამოკიდებულების ზრდა. ასევე აღსანიშნავია ქვეყნებზე დამოკიდებულების კომპოზიციის ცვლილება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, შეიმჩნევა ტრანსფერების წილის შეცვირება, ხოლო ტურიზმის წილის ზრდა რუსეთთან, თურქეთსა და უკრაინასთან. რაც შეეხება ექსპორტს, მის წილს მზარდი ტემპი აქვს რუსეთსა და უკრაინასთან, და თითქმის უცვლელია თურქეთსა და ევროკავშირის ქვეყნებთან.


	31 ოქტომბერი, 2019	31 ოქტ 2019 - 1 იან 2018	31 ოქტ 2019 - 1 იან 2017
ეგზო	3.2963	▼ -15.2%	▼ -20.7%
აშშ დოლარი	2.9632	▼ -10.7%	▼ -19.1%
თურქელი ლირა	0.5158	▲ 45.5%	▲ 58.8%
რუსული რუბლი	0.0464	▼ -7.4%	▼ -30.0%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	115.83	▼ -2.0%	▼ -3.4%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (ოქტომბერი, 2019)	111.14	▼ -3.9%	▼ -3.7%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 30: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლით კურსები და გადახრა ტრენდიდან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



გაცვლითი კურსი

31 ოქტომბრის ივლისის მდგომარეობით, 2019 წლის 1 იანვართან შედარებით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 9.4 პროცენტით არის გაუფასურებული. ხოლო გასული წლის 1 იანვართან შედარებით კი 2.0 პროცენტით. რაც შეეხება რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსს, იგი 3.9 პროცენტით არის გაუფასურებული წინა წლის იანვართან შედარებით და 7.1 პროცენტით მიმდინარე წლის იანვართან შედარებით.

ლარის ნომინალური ეფექტური კურსი საშუალოვადიანი ტრენდიდან 6.2 პროცენტით არის გაუფასურებული.



ფინანსური სექტორი

2020 წლის ბიუჯეტის აღწერა

2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 13 612.0 მლნ ლარით. მათ შორის: გადასახადები - 12 305.0 მლნ ლარი; გრანტები - 317.0 მლნ ლარი; სხვა შემოსავლები - 990.0 მლნ ლარი.

2020 წლის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები გაანგარიშებულია ეკონომიკური ზრდის 4.5 პროცენტისა და ინფლაციის 3.5 პროცენტიანი მაჩვენებლების გათვალისწინებით. აგრეთვე, გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშებისას მხედველობაში იქნა მიღებული კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, საგადასახადო ბაზის ცვლილება, ადმინისტრირების გაუმჯობესება და ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. კერძოდ:

- BP მიერ გადასახდელი თანხა (180.0 მლნ ლარი)
- ოქროს სიის ეფექტი (-200.0 მლნ ლარი)
დღგ (-100.0 მლნ ლარი)
აქციზი (-100.0 მლნ ლარი)
- თუთუნის დაბეგვრის ეფექტი (80.0 მლნ ლარი)

2019 წლის ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილია 2.4 პროცენტის დონეზე, რაც 0.1 პუნქტით აღემატება 2018 წლის ფაქტობრივ დეფიციტს.

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

2019 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9225.7 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 9501.9 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103.0%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8362.7 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 8473.5 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.3%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 240 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 324.3 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 135.1%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 623.1 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 704.1 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 113.0%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 136.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (105.5 მლნ ლარი) 129.6%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 63.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70.5 მლნ ლარი) 89.8%-ია.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7091.6 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7177.3 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.2%. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საშემოსავლო გადასახადის** სახით მიღებული შემოსავალი მობილიზებულია 2355.3 მლნ ლარის ოდენობით, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2359 მლნ ლარი) 99.8%-ია.

- **მოგების გადასახადის** სახით მობილიზებულია 674.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (662.3 მლნ ლარი) 101.8%-ია.

დიაგრამა 30: ბიუჯეტის დეფიციტი (%-ად მშპ-თან)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



• **დამატებული ლირებულების** გადასახადის სახით მობილიზებულია 3091 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3012.9 მლნ ლარი) 102.6%-ია.

• **აქციზის** სახით მობილიზებულია 993.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1088.4 ათასი ლარი) 91.3%-ია.

• **იმპორტის** გადასახადის სახით მობილიზებულია 56.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (63 მლნ ლარი) 89.5%-ია.

ცხრილი 2: 2019 წლის 9 თვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები, ათასი ლარი

	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტიური	შესრულება %-ში
შემოსავლები	7,664,369.5	7,868,295.5	102.7%
ხარჯები	7,159,184.7	7,030,653.2	98.2%
საოცერაციო სალდო	505,184.8	837,642.2	165.8%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1,356,122.1	1,335,193.5	98.5%
მთლიანი სალდო	-850,937.3	-497,551.3	58.5%
ფინასური აქტივების ცვლილება	-480,909.1	-194,802.1	40.5%
ვალდებულებების ცვლილება	370,028.2	302,749.2	81.8%
ზრდა	1,095,824.5	1,027,213.0	93.7%
საშინაო	427,833.5	425,994.8	99.6%
საგარეო	667,991.0	601,218.2	90%
კლუბა	725,796.3	724,463.9	100%
საშინაო	34,165.1	34,165.1	100%
საგარეო	691,631.3	690,298.8	100%

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი


2019 წლის ოქტომბერში ჩატარდა 5 აუქციონი ჯამური ემისიით 300 მლნ ლარი, რომლის საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.470% შეადგინა. გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2, 5 და 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 60 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები:

ცხრილი 3: 2019 წლის 9 თვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები, ათასი ლარი

	6M	12M	2Y	5Y	10Y	სულ
ემისიის მოცულობა	70	60	70	70	30	300
საშუალო შეწონილი განაკვეთი	7.977	8.004	8.189	9.143	9.640	8.470
დაფარვა	20	40	0	0	0	60
სხვაობა	50	20	70	70	30	240

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 31: ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 32: პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ მცირე ცვლილება განიცადა. სექტემბერთან შედარებით, გაიზარდა 6 თვის საზარინო ვალდებულებების წილი 3.7 პროცენტიდანდან 4.9 პროცენტამდე. პორტფელის შემოსავლიანობა მნიშვნელოვნად შეიცვალა მხოლოდ 6 თვიანი საზარინო ვალდებულებებისთვის, 6.6 პროცენტიდან 7.2 პროცენტამდე.

პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების ჯამური საშუალო შეწონილი ვადიანობა (ATM) გაიზარდა წინა თვესთან შედარებით 2.37-დან 2.55-მდე.

2019 წლის 31 ოქტომბერს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 38.2% ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში.

მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (სექტემბერი 1.94) შედარებით შემცირდა და 1.81 შეადგინა.


ცხრილი 4: ფასიანი ქაღალდების დაფარვამდე დარჩენილი საშუალო შეწონილი ვადიანობა პერიოდის მოლობა (წელი)

2019	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი
6 თვე	0.24	0.24	0.30
12 თვე	0.47	0.47	0.49
2 წელი	1.04	0.92	0.97
5 წელი	3.04	3.03	3.03
10 წელი	6.41	6.33	6.37
სულ	2.43	2.37	2.55

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო




დიაგრამა 33: ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 34: პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 35: თვის განმავლობაში აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



მონეტარული სექტორი

პერძო სექტორის დოლარიზაცია


სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია. მთლიანი სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციით. 2019 წლის ოქტომბრისთვის, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ 58.3 პროცენტი შეადგინა, იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაციამ 29.6 პროცენტი, ხოლო მთლიანად სესხების ლარიზაციამ კი 44.5 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, მზარდი ტენდენცია გააჩნია როგორც იპოთეკური ასევე სამომხმარებლო სესხების ლარიზაციას, მაგრამ სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღმატება უძრავი ქრინებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. 2019 წლის ოქტომბრისთვის სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 87.2 პროცენტს შეადგენს, ხოლო იპოთეკური სესხების ლარიზაცია 2019 წლის ოქტომბრისთვის - 34.6 პროცენტს გაუტოლდა.


დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვნად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია. 2019 წლის ოქტომბრისთვის მთლიანი დეპოზიტების ლარიზაციამ 35.6 პროცენტი შეადგინა, იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია ამავე პერიოდში 48.9 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია - 24.4 პროცენტი.

მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია 2019 წლის ოქტომბრისთვის წინა თვესთან შედარებით 1.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 45.6 პროცენტი შეადგინა, ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 34.1 პროცენტია, ხოლო ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია - 29.8 პროცენტი.

დიაგრამა 36: სესხების ლარიზაცია




სესხების ლარიზაცია უზრუნველყოფის მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 37: დეპოზიტების ლარიზაცია




დეპოზიტების ლარიზაცია დებიტორების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დაგრამა 38: სესხების წლიური ზრდა



დაგრამა 39: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



სესხების მიმღებელება

საკრედიტო პორტფელის წლიური ზრდა წინა თვესთან შედარებით 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2019 წლის ოქტომბერში 2018 წლის ოქტომბერთან შედარებით 12.9 პროცენტი შეადგინა. იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა კი წინა თვესთან შედარებით 1.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და იმავე პერიოდში 20.3 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 7.3 პროცენტს შეადგინს.

2019 წლის ოქტომბერში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21.9 პროცენტი შეადგინა, უცხოური ვალუტაში გაცემული სესხების წლიური ზრდა წინა თვესთან შედარებით 0.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და იმავე პერიოდში 6.6 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო მთლიანმა საკრედიტო პორტფელის ზრდამ 12.9 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია 2018 წლიდან სესხების ზრდაში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხები დენომინირებული სესხების წვლილი იზრდება.

2019 წლის ოქტომბრისთვის იპოთეკური სესხების წლიური წინა თვესთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13.5 პროცენტი შეადგინა.

რას შეეხება სამომხმარებლო სესხების წლიურ ზრდას, 2019 წლის ოქტომბრისთვის მისი მნიშვნელობა 2019 წლის სექტემბერთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზადა და 13.1 პროცენტს გაუტოლდა. 2017 წლიდან სამომხმარებლო სესხების ზრდას მნიშვნელოვნად განაპირობებს ლარში დენომინირებული სამომხმარებლო სესხების ზრდა.

დეპოზიტების მიმღებელება

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2019 წლის ოქტომბერში 2018 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11 პროცენტს შეადგინს, ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა წინა პერიოდთან შედარებით 5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 17 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო



უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა - 8 პროცენტს.



2019 წლის ოქტომბერში ფიზიკური პირების დეპოზიტების წლიურა ზრდამ 11 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიური ზრდა 5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და იმავე პერიოდში 10 პროცენტს გაუტოლდა.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



2018 წლის დასაწყისიდან ეროვნული ბანკი ახორციელებდა გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივ გამოსვლას, მაგრამ 2019 წლის სექტემბერში საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 0.5 პროცენტული პუნქტით გაზრდის შესახებ, 4 სექტემბერს 6.5-დან 7 პროცენტამდე, ხოლო 25 სექტემბერს რიგგარეშე სხდომაზე 7.5 პროცენტამდე. ამავე დროს, მოხდა მონეტარული პოლიტიკის შემდგომი გამკაცრება ოქტომბერშიც. კერძოდ, 23 ოქტომბერს, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გაიზარდა 1 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 8.5 პროცენტი. აღნიშნული გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა გაცვლითი კურსის გაუფასურებიდან მომდინარე ინფლაციური ზეწოლის განეტრალებას ისახავს მიზნად, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის გამკაცრება გაგრძელდება მომავალშიც, ინფლაციაზე გაცვლითი კურსიდან მომდინარე ზეწოლის აღმოფხვრამდე.

დაგრამა 40: დეპოზიტების წლიური ზრდა

01.11.2019




დაგრამა 41: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



დიაგრამა 42: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების წაშოებზე



დიაგრამა 43: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე (თვის ბოლოს მდგომარეობით)



საპროცენტო განაკვეთები

2019 წლის ოქტომბრისთვის უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 8.4 პროცენტს უტოლდება.

2019 წლის ოქტომბრისთვის იურიდიული პირები მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 20.6 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 26.2 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.0 პროცენტს).

გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს. მისი მნიშვნელობა 2019 წლის ოქტომბრისთვის, 16.4 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 17.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე 9.3 პროცენტს.

იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე ეროვნულ ვალუტით განაკვეთი 2019 წლის ოქტომბრისთვის ბოლოს 11.9 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 7.5 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 11.8 პროცენტი შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში 7 პროცენტი.



სუვერენული რეიტინგები

2019 წლის ოქტომბერში, სარეიტინგო კომპანია S&P-მ საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი ერთი საფეხურით, BB- დან BB-მდე გაუმჯობესა. S&P-ის მიხედვით, საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება უკავშირდება ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკის შედარებით მაღალ ზრდას გაუარესებული საგარეო ფაქტორების მიუხედავად. S&P მიხედვით, მომავალი წლების განმავლობაში საქართველოს ექნება უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნებს და 2020-2022 წლებში მიაღწივს 4%-იან ნიშნულს. S&P-ის მიხედვით რეიტინგის შემდგომი გაუმჯობესება შეზღუდულია შემოსავლების დაბალი დონით, იმპორტზე დამოკიდებულებით და მაღალი საგარეო ვალდებულებებით. ამავე დროს, Moody's და Fitch-ის თანახმად, საქართველოს გააჩნია Ba2 სტაბილური და BB სტაბილური რეიტინგები შესაბამისად.

საერთო ჯამში, საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი გაუმჯობესებულია, ხოლო პერსპექტივა სტაბილურ დონეზეა შენარჩუნებული, რეგიონში გაუარესებული ეკონომიკური გარემოს მიუხედავად, რაც სწორი პოლიტიკის გატარების (მცურავი სავალუტო კურსი, ინფლაციის თარგეთირება, კონტრ-ციკლური ფისკალური პოლიტიკა, საგარეო სავაჭრო ბარიერების მოხსნა და ექსპორტის დივერსიფიცირება, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება), შემცირებული რისკებისა და საშუალოვადიანი პერსპექტივების დამსახურებაა.

ბიზნესის კეთების რეიტინგში, საქართველო მსოფლიოში მე-6 ადგილიდან გადაინაცვლა მე-7 ადგილზე. მსოფლიო ბანკის მიხედვით, საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაფიქსირდა „სამშენებლო ნებართვების“ კატეგორიაში.

დიაგრამა 44: საქართველოს საკრედიტო რეიტინგები

Moody's

Ba2 სტაბილური

დამტკიცებული: 2019 სექტემბერი

Fitch Ratings

BB სტაბილური

დამტკიცებული: 2019 აგვისტო


**STANDARD
&POOR'S**

BB სტაბილური

დამტკიცებული: 2019 ოქტომბერი

წყარო: სარეიტინგო კომპანიები: Moody's, Fitch და S&P

დიაგრამა 44: ბიზნესის კუტხა 2020, რეიტინგი



წყარო: მსოფლიო ბანკი



საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია არ წარმოადგენს ოფიციალურ სტატისტიკას.